



**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 2 21 0000679985



06/07/2021

შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 88 მუხლის პირველი პუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ (ს/კ: 204909858) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 100-ით.
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 2 წლის ვადით.
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 22 ივნისს.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 6 ივლისის N⁶79735 სხდომის ოქმის N⁰2 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო


დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECT S	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	0912 - დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	08/05/2020 MES 5 20 00367134	ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქ. №4, №6
2	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	0912- დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	08/05/2020 MES 4 20 00367133	ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქ. №4, №6
3	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	0911.1.1- დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	10/12/2019 No234	ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქ. №4, №6
4	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	0915.1.1- ბაკალავრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში	240	აკრედიტებული	12/12/2019 No238	ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქ. №4, №6; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი No170.
5	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	0915.1.1- მაგისტრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში	120	აკრედიტებული	12/12/2019 No239	ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქ. №4, №6; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი No170.
6	ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	0413.1.1- ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	240	აკრედიტებული	10/12/2019 No235	ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქ. №4, №6
7	ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	0413.1.1- ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში	120	აკრედიტებული	0/12/2019 No236	ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქ. №4, №6